1956

ᲝᲠᲒᲐᲜᲝ ᲡᲐᲫ. ᲡᲝᲪ.-ᲓᲔᲛ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠ-ᲒᲐᲠᲔᲗᲗᲔᲚ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲗᲕᲘᲡ
Organe du Bureau à l'Etranger du parti Social-democrate de Géorgie.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲐᲠᲝᲨᲐᲚᲘ

"NOTRE DRAPEAU"

N° 22

Directeur: MICHEL STOUROUA.

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ:

26 მაისი. ანჩინ—ნოე ჟორდანია. გ. ერაძე—თბილისი. პ. სარჯველაძე—სტალინის კულტი საქართველოში. გრ. ურატაძე—მეოცე ყრილობა. ხ. ასათიანი—ლიკვიდაცია ბოლშევიზმის? №—თავისუფალი პროფესიონალური კავშირები და კომუნისტები. ქართული ეროვნული საბჭოს დეკლარაცია. იგი—გამოსვლები თბილისში. ***—სოციალისტურ ინტერნაციონალში. ა. ბადრიძე—ახლო აღმოსავლეთში. გ. ერაძე—პასუხი მეგობარს. დ. ქიმერიძე—ხსოვნად ქართველ დედას! გენ. დრო. დ. რევაზიშვილი და სხვ. და სხვ.

ᲞᲐᲠᲘᲖᲘ ᲛᲐᲝᲑᲝ Paris.

1956

ეროვნული
ბიბლიოთეკა

26 მაისი

26 მაისს იშვა ახალი საქართველო. მთელი კაცობრიობის წინაშე მან გამოსთქვა სურვილი იყოს სუვერენული, თავისუფალი, საკუთარი ცხოვრების ბატონ-პატრონი. მან ამ დღეს გადააგდო უღელი ჩრდილოეთის. იბრუნა პირი მისგან და დაიწყო საკუთარ ოჯახის მოწყობა. ერი მთლიანი სურვილით გაჟღენთილი, ერთი მისწრაფებით გატაცებული ჩაება აღმშენებლობის საქმეში. დაამყარა ერთობა, დაირაზმა ერთი დროშის ქვეშ. მან შექმნა წყობილება, სადაც ერის თითეულმა ნაწილმა იპოვა სამართლიანობა, სამოქმედო სარბიელი, სოციალური, ეკონომიური და კულტურული წარმატების სრული შესაძლებლობა. შინ წელში გამართული, ათასწლოვან კულტურით დატვირთული იგი შევიდა საერთაშორისო ოჯახში და იქ დაიკავა მისთვის კუთვნილი ადგილი.

დაუნდობელმა მტერმა გადასჭრა გზა სავალი, შესწყვიტა ერის შემოქმედების გაშლა-გაძლიერება, შეუდგა მისი სხეულის დაგლეჯას, შეეცადა აღმოეფხვრა ქართველი ერის გულიდან სიყვარული თავისუფლების, საქართველოს თავზე კვლავ მობრუნდა ცეცხლის კერანი და მონობის გზაზე დააყენა ერი მოწყურებული თავისუფლებას...

მოიხსნა თავისუფლების დროშა სასახლის თავიდან, მაგრამ 26 მაისი ჩაიმარხა თითეულ ქართველის გულში, ჩაიჭედა მის სულში და გახდა ვითარცა მანათობელი ვარსკვლავი ახალი ბრძოლების წასამართავად, ერისგან დაკარგულ თავისუფლების დასაბრუნებლად... იგი აღვიძებს თითეულ ქართველში ბრძოლის ცეცხლს, შეურიგებელ პოზიციების აღსამართავად, მტრისგან მოტანილ იერიშების მოსაგიერებლად.

26 მაისი გახდა დღე ერთობის, ჭირსა და ლხინში ერთად დგომის, მთლიანი დარაზმულობის მტკიცე გამოხატულება.

26 მაისი ავალდებულებს თითეულ ქართველს უკუაგდოს პარტიზანული აზრი და მოქმედება, ჩადგეს ეროვნულ დისციპლინის ფარგლებში, შეკვეცოს პირადი, დაუმორჩილოს იგი საერთო მოქმედების ნაციონალურ ხაზს...

საბჭოთა იმპერიის სივრცეზე,—დღეს ჩვენ მოწამენი ვხდებით შინაურ ძალთა უდიდეს ამოძრავების, გადაჯგუფების, მასსიურ უკმაყოფილებათა ამეტყველების... გუშინდელ გალმერთებულ კერპის უარყოფით,—გაყინულ აზრთა გალხობის, შიშისა და კრძალვის უარყოფის, დღევანდელ ბატონთა ნამოქმედარის სიტყვასა და საქმეში დაეჭვების.

კრემლის კედლების ამ რყევაში 26 მაისი უცდის შესაფერ გარემოებას, მისგან თავის დახწევას, სიფრთხილითა და

30268

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიფხიზლით იგი იკაფავს გზას, ქართული სახემწიფოს ფეხზე დასაყენებლად...

თითეულ მტრის შემოტევა იწვევს ნაციონალურ ტალღათა აზვირთებას, აღვივებს ახალ-ახალ ფენებში თავისუფლების სიყვარულს და ითრევს განმანთავისუფლებელ ბრძოლებში.

26 მაისის მხურვალე შუქი თანდათანობით ეუფლება იმათ სულსა და გულს, რომელნიც თავის დროზე მისი ბრწყინვალებით არ დამტკბარან. იგი ხდება მათთვის მიმზიდველი მომხიბლავი, საოცნებო, მისაწდომი იდეალი; ისინი რწმუნდებიან, რომ 26 მაისის აღდგომით, თავს დაახწევენ მონურ ცხოვრებას, შექმნიან არსებობის მშვიდობიან პირობებს, აღადგენენ ოჯახს უცხო ბატონობის გარეშე...

26 მაისს თითეულ ქართველმა უნდა მოიგონოს მოძმე, სამშობლოს დახსნისთვის მტრისგან გულგანგმირული, გაიმსჭვალოს მისი წმინდა სურვილებით, შეიარაღდეს მისი გმირული მაგალითებით...

ქართველობას არ სჩვევია გულგატეხა ისტორიის ხანგრძლივ სავალ გზაზე; მით უმეტეს დღეს მას მეტი საბუთი აქვს იყვეს იმედიანი, რომ საქართველო კვლავ აღსდგება გაჯანსაღებული სხეულით, სპეტაკი სულით...

ნოე ჟორდანია *)

ჩქარა ჩვენს პარტიას 60 წელი შეუსრულდება, და მე კი მინდა მის იდეოლოგს, რომელიც 15 იანვარს 85 წლისა გახდება, რამდენიმე სტრიქონი ვუძღვნა ჩემი მოგონებიდან.

1903 წელს ადრე გაზაფხულს თბილისში ვარ და ვცხოვრობ მუხრანთა სასტუმრო «პურ-ღვინო»-ში, და ერთ დღეს დაღამებისას, წინასწარ გაუფრთხილებლად, შემომიყვანეს ჩემს ნომერში ორი პირი და ყურში ჩამჩურჩულეს მათი ვინაობა: ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე!

დღესაც არ ვიცი ვინ მიუთითა მათ ჩემ სასტუმროზე გოლოვინსკის გამზირზე, ახლო მაშინდელ მთავარ მართებელ გოლიცინის სასახლესთან. მახსოვს მხოლოდ «მიშა ოკრიბელი» **), ჯერ კიდევ ჯიელი სტუდენტი ლურჯ ბლუზა-ქუდში, ერთ-ერთი მომძღოლი ის უნდა ყოფილიყო.

მე პირველად ვნახე როგორც ნოე, ისე სილიბისტრო, სოც.-დემ. ორგანიზაციების მამათ-მთავარი. მივესალმე ორი-

*) ეს მცირე მოგონება მზად მქონდა და უნდა გადამეცა კრებულში მოსათავსებლად კვირას 15. I. 53, როცა ნოე ჟორდანიას 85 წლისთავი უნდა გადაგვეხადა. მაგრამ სწორეთ ამ დღეს ჩვენი იუბილიარი დავასაფლავეთ იქვე ვანვში უსიტყვოთ და უგვირგვინოთ, თანახმად მისი დაბარებისა.

**) რაქდენ არსენიძე. ანჩინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეს, ემჩნეოდათ თითქოს ჩქარობდენ, და როგორც კი დასხდნენ, სილიბისტრომ ამოიღო უბიდან პატარა რვეული და დაიწყო კითხვა: გლეხთა მოძრაობა გურიაში.

ლონდონიდან ახლად დაბრუნებული, რუსეთის სოც.-დემ. პარტიის მეორე ყრილობიდან, ნოე ხშირად აჩერებდა სილიბისტროს და უსვამდა მას ამა თუ იმ კითხვას.

განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ის არალეგალურ მუშაობას ჩვენში: არსებობდა თუ არა შესაფერი ორგანიზაციები ამისათვის დაბა-სოფლებში, ეგრ. წოდ. იაჩეიკები-უჯრედები, მათი წევრთა საიდუმლო შეხვედრები, ერთმანეთის გატანა და სხ. და სხ.

აშკარაა, მაშინ არავინ ფიქრობდა, რომ ჩაგრულ ერში, განსაკუთრებით თუ მას თავისი მდიდარი წარსული აქვს, თითქმის ყოველი ოჯახი, შემთხვევითი დაჯგუფებაც კი, ცოტა გამონაკლისით, არალეგალურ ორგანიზაციას წარმოადგენს!

მაგრამ ეგ არ არის ამ წერილის თემა. ნოესაგან ვგებულობ პირველად ლონდონში მომხდარ დიდი ბრძოლა-კამათის არსებას: პარტიის არალეგალური მუშაობა ყველაზე მჭრელი იარაღია—აი დებულება, რომელსაც იცავდა ლენინი და მას კი მაშინვე მიკედლებია ყრილობის თავმჯდომარე პლეხანოვი; ნოეც, ცხადია, და ბოლოს ამ დებულებას მეტი ხმა მიუღია.

უმცირესობაში დარჩენილან ისინი, ვინც იცავდა ლია, ე. ი. ლეგალურ ორგანიზაციებში მუშაობას და ნაკლებ ყურადღებას აქცევდა არალეგალურ მუშაობას. ამ დებულების დამცველნი ყოფილან მარტოვი და აქსელროდი.

შეცდომის თავიდან ასაცდენად უნდა ითქვას, რომ ყველა დანარჩენ კითხვებში როგორც ნოე ისე პლეხანოვი მარტოვ-აქსელროდთან ერთად ლენინის წინააღმდეგ გამოდიოდენ. გაიხსენეთ ორი დიდი კითხვა, რომელიც ლონდონის ყრილობაზე გადაწყდა: ებრაელთა «ბუნდის ავტონომია» და «ამიერ-კავკასიის თვითმართველობა». და ეს ხომ ოთხივეს წყალობით გავიდა, მიუხედავად ლენინის და რამდენადმეთ ტროცკის სასტიკი შებრძოლებისა.

როგორც ხედავთ, ლენინმა მიიღო უმრავლესობა (ბოლშინსტვო), ხოლო მარტოვმა უმცირესობა (მენშინსტვო)—აი სათავე, საიდანაც წარმოსდგა «ბოლშევიკები და მენშევიკები»!

სილიბისტრომ ვერ დაათავა კითხვა და შემდეგ ღამესაც მესტუმრენ ორივენი. შემოსვლისას ისინი სოციალ-ფედერალისტებთან შეხვედრა-შეთანხმებაზე ბაასობდენ.

ეს პატარა ეპიზოდი მჭერმეტყველი მაჩვენებელია რა ხაზს ადგენ მესამე-დასელები, შემდეგ სოციალდემოკრატები ჩვენში. მაშ რატომ დაერქვათ მათ «მენშევიკები»? ისინი ხომ არცაროდის ყოფილან უმცირესობაში თავის ქვეყანაში, თვით ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტშიც?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს სახელწოდება სწორეთ გვაგონებს, რომ ჩვენ ყველანი შევდიოდით რუსეთის სოციალდემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ასე ვთქვათ, დე ფაქტო ვარსებობდით, დე იურე არა!

ასე ამჯობინეს ჩვენებმა, პირველ ყოვლისა ნოემ, და ამით აიხსნება ალბათ ქართველების გავლენა მთელ რუსეთის მენშევიკურ პარტიაში.

ნოემ მხოლოდ აქ, უცხოეთში გამოთქვა, დიდი ხანია, ერთ წერილში აზრი, რომ ჩვენ დიახაც არ ვიყავით და არცა ვართ «მენშევიკები», არამედ სოციალისტებიო!

და ეს გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ დასავლეთის სოციალისტები ხშირად რუსის მენშევიკებზე დაბლა დგანან თავის პროგრამით და ტაქტიკით.

მეტსაც ვიტყვით. ჩვენი პარტია მართლა «მენშევიკური» რომ ყოფილიყო, საქართველოს დამოუკიდებლობა, არამც თუ სამ წელს, სამ თვესაც ვერ გასტანდა.

ამისათვის საჭიროა გაიხსენოთ ერთის, მეორის და მესამე ნოეს ამაგი და თქვენთვის ცხადი იქნება ეს! არა მარტო ხომერიკის აგრარული რეფორმა, არამედ რამიშვილის ბრძოლის ტაქტიკაც: იქით შეტევა და არა დახევა, ან კიდევ უკუგდება მარტო დოქტრინის სიწმინდისთვის თავდადების—აი რამ გვიშველა.

და ყველა ამას ხომ დიდი ნოე უდგა სათავეში. შეცდომებიც ხომ ბევრი იყოვო, იტყვიან მოპირდაპირენი. ვის არა აქვს მუშაობაში შეცდომები?

მაგრამ დღეს ხომ ნოე ჟორდანიას 85 წლისთავს ვიხდით, ვუსურვოთ მას დღეგრძელობა და განთავისუფლებულ სამშობლოში დაბრუნება.

ამისათვის კი პირველ ყოვლისა საჭიროა მთელი ჩვენი ერთგული ემიგრაცია ყველგან ერთ ფერხულში ჩაებას, განურჩევლად პარტიისა, მსოფლმხედველობისა, სქესისა და წლოვანებისა—იგულისხმეთ ქართველი დედა...

საქართველო ერთია, ჩვენც ერთნი უნდა ვიყოთ.

ანჩინ.

თ ბ ი ლ ი ს ი.

თბილისი დამარცხებულიც რომ ქედს არ იხრის მტრისა წინაშე. თბილისი მუდამ შეურყეველი მტკიცე რწმენით ალსავსე; მუდამ თავისუფლების მოტრფიალე, მუდამ მებრძოლი, მუდამ რაინდი.

თბილისი საიდანაც შეუწყვეტლივ ისმის ქართველი ხალხის ეროვნული სულის მძლავრი მაჯის ცემა, რაც მტერს საგონებელში აგდებს, მოყვარეს სიამით გულს უვსებს; რაც უცხოელებს და მატებს მხნეობას, გამძლეობას და იმედს მისებრ ტანჯულთ, მისებრ წამებულთ—კომუნისტურ ტირანიის მიერ ჩაგრულ ხალხს, ჩაგრულ ერებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკუნოების განმავლობაში რამდენმა შორეულმა და ახლობელმა მტერმა ძალით დააჩოქა, წააქცია, მაგრამ მან თავის მეობის სულის სიძლიერე საღათ და სპეტაკათ შეინახა.

თბილისი აღმოსავლეთ და დასავლეთ შუა მდებარე, მოწინავე კაცობრიობისაგან ზღვით და ხმელეთით მოწყვეტილი, შორის მანძილით დაშორებული, მისი კულტურის, მისი ცივილიზიციის მოზიარე; მუდამ დარაჯი და პირველი გზის გადამღობი პროგრესის და თავისუფლების წინააღმდეგ მოწოლილი წითელი რეაქციის.

მან, მან, რომელმაც დღესაც პირველმა დაარღვია ორას მილიონ დამონებულ ხალხში ტეროორით შექმნილი მორჩილება, კრემლის საფეოდალოში გამეფებული სამარისებური სიჩუმე, რითაც ის გახდა ცენტრი მთელი ქვეყნის ყურადღების, მისი თვალთა მზერის.

ვინაა თბილისი, რა სურს, რას მოითხოვს, რა პოლიტიკური დროშით ამდგარა, რომ ბურუსით მოცულ პოლიტიკურ ცის გარიზონტზე იმედის მომცემ სხივ მომფინე ვარსკვლავივით გამოაშუქა?

9 მარტის მანიფესტაცია, თბილისის ქუჩებზე დაღვრილი სისხლი ქართველი სტუდენტობის იყო საქვეყნო აქტი კრემლის დიქტატორთა ბატონობის მორჩილებაზე ხელის აღების კომუნიზმისათვის აღზრდილ მოსწავლე ახალგაზდათა მთელი ლაშქრის.

ეს დღე დაუვიწყარია, იგი დარჩება საბჭოთა წყობილების ისტორიაში მისი გარდატეხის და უკან დაქანების აღსანიშნავათ.

თბილისში მოწყობილი მანიფესტაცია «აკრძალული ეროვნული ლოზუნგებით», აი, დიდი მარცხი და გაკოტრება მოსკოვის დესპოტთა ინტერნაციონალურ ქერქში გახვეული იდეოლოგიის. «აკრძალული ეროვნული ლოზუნგები» ქართველი ერის ლოზუნგია, მისი იდეალია, მისი სადღეისო მოქმედების და ბრძოლის დროშაა. ამ ლოზუნგშია კულტი ეროვნული თავისუფლების, კულტი სალსის უფლების, რაც უარს ყოფს ყოველგვარი ხასიათის და ყოველგვარი ფორმის კულტის და უკულტო დიქტატურას.

თბილისი კვლავ აღდგა მოსკოვის მიერ წართმეულ ეროვნულ თავისუფლების დასაბრუნებლათ. ამ ლოზუნგით ბრძოლა გამოუცხადა მოსკოვს, თავი დასდო მისთვის, მსხვერპლი გაიღო. ჩვენი სიმპატია, ჩვენი თანაგრძნობა ქართველ ხალხთან ერთად ამ ლოზუნგისათვის მებრძოლ თბილისთან არის.

ჩვენს ახალგაზდობას არ უნდა მოსკოვი ბატონათ, არ უნდა მისი კარნახით ცხოვრება, არ უნდა მასთან ყმათ ყოფნა; მას არ სწამს კრემლში მოკალათებულ დიქტატორთა ინტერნაციონალი, როცა ისინი მის სამშობლოში თავიანთ იმპე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიალისტურ ზრახვებს ანხორციელებენ, როცა პროგრესიულათ იზრდება და ფართოვდება მათი რუსიფიკატორული პოლიტიკა.

მოსკოვს სძულს ქართველი ერი, სძულს ქართველი ანტიკომუნისტი, სძულს ქართველი კომუნისტიც. სძულს მათი ურჩობა, მათი სიამაყე, მათი უნარი თავის უფლების დაცვის. ამიტომ იგი შეიჭრა ქართველი ერის ცხოვრების ყველა დარგში, ყველა სფეროში, რომ დაუკარგოს მას მისი ეროვნული სული და ელფერი, გამოაცალოს ნიადაგი თავის თავის პატრონობის და თვითმოქმედების.

ჩვენს ახალგაზდობას არ უნდა ხრუშჩევის ფანტაზიების მსხვერპლი შეიქნეს: სამშობლოდან აიყაროს, კომუნიზმის დასამყარებლათ ციმბირის უდაბნო ტყეებში თავისი ძვლები ჩაყაროს. თუ რამაა სასიკეთო, მას სურს იგი შექმნას თავის ეროვნულ ოჯახში, თავის სამშობლო კერაზე, სიცოცხლის და კეთილი ცხოვრების დასამყარებლათ. ამით ის გაემიჯნა მოსკოვს და დადგა თავის ეროვნულ ნიადაგზე. ეს იყო ბუნებრივი, ეს იყო აუცილებელი.

ვაი რომ შერჩეულ დროს არ მოუხდა მოსკოვის წინააღმდეგ მას ეს მანიფესტაცია, რომ ის ბრძოლის ველზე ეულათ მარტო დარჩა, როცა თავისუფლებისათვის მის ყიჟინას საბჭოთა სახელმწიფოში მყოფ დამონებულ ხალხთა ყიჟინაც არ შეუერთდა. კრემლი ვერ გაუძლებს ამგვარ შეერთებულ ყიჟინს. დესპოტთა მთავარი სისუსტე აქ არის, რასაც იგი თავს ვერ დაახწევს. ეს დღე არც ისე შორს არის. რა მდინარეზე ყინული გალღვეს, იგი ან ზღვაში შთაინთქება, ან გზაში გადნება.

ჩვენი ხალხი მარტო არ არის, კრემლის წინააღმდე ბრძოლაში მას ყავს ამხანაგი, დამხმარე-თანამებრძოლი, დიქტატურის ხელში რომ სული ხდებათ: ყველა დაჩაგრული ერები და მათში რუსის ხალხი. რუსის ხალხი, რომლის რისხვაც იქნება ერთი უდიდესი ლახვართაგანი კრემლის დამხობის საქმეში; მაგრამ მტერი ვერაგია, შურის მაძიებელი, დაუნდობელი, შარის და მიზეზის მომდები, მას გაახარებს ჩვენ რომ გაგვამარტოვოს, მის მოწინააღმდეგე მებრძოლ ლაშქარს ჩამოგვაშოროს.

ჩვენს მამა-პაპათა სიმამაცეს, ვაჟკაცობას, სამშობლოს სიყვარულს, თან ახლდა სიფრთხილე, მტრის ძალთა გაზომვა, ხერხი და გამძლეობა, რითაც მათ თავი გადირჩინეს და არ გაისრისენ.

ჩვენი ხალხი თავის გამანთავისუფლებელ ბრძოლაში ძველ თაობათა ნაანდერძევ გამოცდილებას გამოიყენებს.

გ. ერაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სტალინის კულტი საქართველოში.

ათეულ წლების განმავლობაში სტალინის ქება-დიდება გაისმოდა საბჭოთა რუსეთის იმპერიის სივრცეზე. გაღმერთებულ პიროვნების მოქმედებაში დაეჭვება იყო დანაშაული, ყოველგვარი გადახვევა სტალინის განაფიქრებში ცეცხლითა და მახვილით დასასჯელი. ქართველი ერის გულში სტალინის კულტის დასანერგათ ამუშავდა მძლავრი მანქანა აგიტ-პროპისა, შეიქნა უამრავი ლიტერატურა. ქართველ ხალხმა კი დიდი ხანია უარყო, ჯერ კიდევ 1904 წელს ის იძულებული გახდა ბაქოში გაქცეულიყო, მისი ავანტურისტული მუშაობა მიუღებელი გახდა თბილისის მუშებისთვის; 1917 წელს საქართველომ უარყო როგორც სტალინი, ისე ბოლშევიზმი. მოსკოვიდან სტალინი გახდა ორგანიზატორი საქართველოს დაპყრობის, ხოლო მის მიერ რუსის ხიშტით დაპყრობილ სამშობლოში ჩამოსვლისთანავე, თბილისის მუშებმა ჩასთვალეს ის როგორც მოღალატე და საკადრისი მიღებაც გაუმართეს. სოხუმში მას თავს დაესხენ მოსაკლავათ. ერთჯერ მხოლოდ თბილისში ღამით შემოიპარა ეჟოვის თანხლებით და დაცვით. საკუთარ დედის დასაფლავებაზე, ხომ ვერ გაბედა ჩამოსვლა. სტალინის პოლიტიკა საქართველოს მიმართ იყო უსასტიკესი, ვინემ სხვა საბჭოთა კავშირის კუთხის მიმართ. მას მუდამ აშინებდა ქართველი ერის სიფხიზლე, მუდმივი ლტოლვა თავისუფლებისადმი, საქ. სოც.-დემ. პარტიის გავლენის სიძლიერე. საქართველო მას მიაჩნდა მუდმივ ოპოზიციაში და როცა სხვა შედარებით შესვენებით სარგებლობდა, საქართველო მუდმივ ტეროორის ქვეშ იყო დაყენებული. თვით საქართველოს კომ. პარტიის ერთგულებაში მას მუდმივათ ეჭვი შეჰქონდა, რომლის რიგებიდან ადგილობრივ მართველობაში ხშირი ცვალებადობა და ნაწილობრივ ქართველ კომუნისტების ფიზიკური გაქლეტა—ამის საუკეთესო საბუთია. სტალინი კარგად ხედავდა, რომ მისი პიროვნება მიუღებელი დარჩა საქართველოსთვის. მან მიჰყო ხელი რუსის ხალხის კულტის შექმნას, საქართველოში მის დამკვიდრებას. გამოაცხადა ის უმაღლეს კულტურის მატარებლათ, უფროს ძმად, ლიტერატურაში, მწერლობაში, პოლიტიკაში ცხოვრების ყოველ დარგში მისაბაძ—წამყვან ძალათ. ეს მოვლენა უსათუოდ მტკივნეულად განიცადა ქართველ ერმა, მისმა ახალგაზდობამ პირი იბრუნა მოსკოვიდან, იგრძნო ეროვნული შეურაცყოფა, უკუაგდო რუსეთის გმირთა თაყვანისცემა და ამითაც აიხსნება, რომ ის დაეწაფა საქართველოს ძველი ისტორიის შესწავლას, ისტორიულ გმირთა იდეალიზაცია გადატანილ იქნა მხატვრულ ლიტერატურაში. ცხადია, სტალინმა მხოლოდ შუღლი და მტრობა ჩამოაგდო რუსისა და სხვა ერთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

შორის, ის თვითონ გახდა რუსეთის შოვინისტურ მისწრაფების სულის ჩამდგმელი და გამომხატველი. ამრიგად მისი საქმიანობა უნდა გაცხრილოს და განსაჯოს იმ ერმა რომლის მართველი ის იყო. საქართველოსთვის ის წარმოადგენდა უცხო ძალაუფლების მატარებელს და უნდა გასამართლდეს როგორც საკუთარ სამშობლოს მოღალატე შვილი...

თბილისში მომხდარი ახალგაზდობის მძლავრი დემონსტრაციები მხოლოდ მოწმობს ერში დაგუბებულ უკმაყოფილების სტიქიურ აფეთქებას, რევოლიუციონურ ქარიშხალის ამოვარდნას. მე-20 ყრილობაზე სტალინის გაბახება და მისი პიროვნების წაბილწვა მხოლოდ საბაბი გახდა ამ გამოსვლებისთვის. სტალინის სურათის ქვეშ ამოფარებული ის იყო უდიდესი პროტესტი თვით სტალინის და მისი მემკვიდრეების პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული. ამით ის შეებრძოლა მოსკოვის კოლონიალურ იმპერიალიზმს, მისგან წართმეულ თავისუფლების აღსადგენათ.

დიქტატურის პირობებში ასეთი გაბედული გამოსვლები, მოწმობს ერის სულიერ სიძლიერეს, პოლიტიკურ სიფხიზლეს; ხოლო დღევანდელ კოლეგიალურ დიქტატურისადმი მტკიცე უარყოფითი პოზიციის აღებას.

ქართველ ერმა უარყო სტალინი, მის რეჟიმში გაზრდილმა ახალგაზდობამ მისი ნაკეთები და ნამოქმედარი. კოლეგიალური დიქტატურა თითქოს ახდენს დესტალინიზაციას, ეს კი ნიშნავს სტალინის მოღალატურ მოქმედების მოშლას, საქართველოდან რუსის ჯარების გაყვანას, საქართველოს დამოუკიდებლობის, სუვერენობის აღდგენას. განა ამაზე წავა მოსკოვი? მაშასადამე ბულგარინ-ხრუშჩევის სტალინიზმი კვლავ ფლობს საქართველოს, ხოლო ის როგორც წინეთ ვერ ეუფლება მის სულსა და გულს, ვერ სპობს მის სურვილებსა და მისწრაფებებს, ბრძოლა გაგრძელდება სანამ მოსკოვი იბატონებს—თბილისში.

პ. სარჯველაძე.

მეოცე ყრილობა.

14 თებერვალს, დილის ათ საათზე, კრემლის დარბაზში გაიხსნა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობა. ოთხი წლის წინეთ, 1952 წელს, შესდგა მეცხრამეტე ყრილობა. ხოლო მეცხრამეტე და მეთვრამეტე ყრილობის შორის კი გავიდა 13 წელი. და ეს 13 წელი იყო ხანა სტალინის განუსაზღვრელი დიქტატურის. მეცხრამეტე ყრილობამ განიხილა სტალინის ეს 13 წლის პიროვნული დიქტატურის ხანა, იქონია მასზე მსჯელობა, მოიწონა და ერთხმად დაადასტურა. კიდევ მეტი. მან ერთსულოვნად აღიარა ის «მსოფლიოს ბელადათ, რომელმაც ასე ბრწყინვალედ ააშენა საბჭოთა კავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შირში სოციალიზმი და შეუდგა კომუნისტური საზოგადოების შენებას!»

ყრილობაზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა მიკოიანი. მან თავის სიტყვაში სტალინი ცამდე აიყვანა, აღიარა ის «მარქსიზმის უდიდეს ხუროთ-მოძღვრათ» და «მეცნიერების ქურუმათ» და დაათავა ასე: «ჩვენი იმედი წინმსვლელობისა უიმედო იქნებოდა, რომ არ გვყოლოდა ხელმძღვანელად ჩვენი უდიდესი ბელადი ამხ. სტალინი. ჩვენ ვალად ვიდგენთ ვიყოთ ყოველთვის ერდგული მისი მოძღვრების. ჩვენ ვესალმებით მის სახეში განხორციელებას საკაცობრიო უმაღლესი იდეალებისა. დიდება შენ, ამხანაგო სტალინო!»

ამ ყრილობას თავმჯდომარეობდა ვოროშილოვი, რომელმაც ის დახურა შემდეგი სიტყვებით: «დიდება მშრომელთა უდიდეს ბელადს და მასწავლებელს მთელი პროგრესიული კაცობრიობისა. დიდება კომუნიზმის გენიალურ ხუროთმოძღვარს ამხ. სტალინს!» მთელი ყრილობა ფეხზე დგება ყვირილით: «დიდ სტალინს ურა!» აღფრთოვანებული ოვაციები, მღერიან ინტერნაციონალს, ყველა ენაზე ისმის: «სალამი და დღეგრძელობა საყვარელ ბელადს და უდიდეს მასწავლებელ სტალინს!»

ყოველივე ეს მოხდა 1952 წელს. ე. ი. მეოცე ყრილობის ოთხი წლის წინეთ.

რა მოხდა ამის შემდეგ ისეთი, რომ სტალინის დღემდე მუნჯ მემკვიდრეებს ენა აუხსნა და ბრძოლის უნარი შთაბერა?

მოხდა დიდი ამბავი. მოკვდა თუ მოკლეს დიქტატორი. შეიქნა ახალი მეთაურობა. გაჩაღდა ბრძოლა მემკვიდრეობის გასაყოფად და ამ ბრძოლაში დაეცა ბერია. ბურთი და მოედანი ბულგანინ-ხრუშჩოვს დარჩა. პიროვნული დიქტატურა მოკვდა, «კოლექტიური» დიქტატურა დამყარდა. მოჰყვა კი რაიმე ცვლილება ყოველივე ამას? მისცა კი ამ ცვლილებამ რაიმე შეღავათი ხალხს გინდ მართველობის, გინდ ეკონომიურ სფეროში? უარჰყვეს კი რაიმე სტალინიზმიდან სტალინის ამ მოწაფეებმა? სრულიადაც არა. არც ერთ სფეროში არავითარი ცვლილება. ყველაფერი დარჩა ისე, როგორც იყო სტალინის დროს. კიდევ მეტი. ამ «კოლექტიურმა» რეჟიმმა ხალხს უკანასკნელი იმედიც გაუცრუვა. ხალხი ელოდა, რომ სტალინის სიკვდილით მისი მდგომარეობა ოდნავ მაინც გაუმჯობესდებოდა. ეს არ მოხდა და, უეჭველია, მისი უკმაყოფილება რეჟიმისადმი კიდევ უფრო გაღრმავდა.

ასეთ პირობებში გაიხსნა მეოცე ყრილობა. დაგუბებულ უკმაყოფილებისათვის მას რაიმე გასავალი უნდა მიეცა. ეს გასავალი იპოვეს სტალინის დეზავუაციაში, მის გაბრიაბრუებაში, მისი კულტის ლიკვიდაციაში. ეს იყო ყრილობის ის უდიდესი სენსაცია, რომელმაც მთელი მსოფლიოს ყურადღება მიიპყრო. უეჭველია, ამ ფაქტს დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ის არ უნდა გადავამეტოთ. არავითარი საბუთი არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის, რომ იწყება რაღაც გარდატეხა, თითქოს მოსჩანს ახალი ერას დასაწყისი, არის მხოლოდ რეჟიმის შესუსტების ნიშნები მომხდარი ამბების მნიშვნელობის არც გადაჭარბებაა საჭირო და არც დამცირება. რომც იყოს რაიმე ასეთი—ჯერ კარგად უნდა დაუკვირდეთ რამდენად ის სერიოზულია, რა მოტივებითაა ის გამოწვეული და ვის ინტერესებს ემსახურება ის.

მართალია მხოლოდ ის, რომ, რაც დღეს საბჭოთა რუსეთში სტალინის კულტის ლიკვიდაციის ირგვლივ ხდება—დღის წესრიგში აყენებს მთელ რიგ სერიოზულ საკითხებს და საკითხავია, პირველ ყოვლისა, რას უნდა გამოეწვია ყოველივე ეს? რატომ არ დაუცადეს სტალინის კულტის ბუნებრივათ, თავისთავად მივიწყებას და მის ლიკვიდაციას ასე ბრუტალურათ შეუდგენ? რა მოხდა? იქნებ მიხვდენ, რომ სოციალიზმის შენება ერთ ქვეყანაში—ეს იყო უდიდესი სიბრიყვე? იქნებ ისიც შეიგნეს რომ სოციალიზმი არ არის «საბჭოთა ხელისუფლება დამატებით ელექტროფიკაციისა», როგორც ამტკიცებდა ლენინი? იქნებ იმასაც მიხვდენ, რომ ძალათ კოლექტივიზაციამ გაანადგურა მთელი ქვეყანა ეკონომიურათ? იქნებ ისიც დაინახეს, რომ მძიმე წარმოების უპირატესობით, პირველი მოთხოვნილების საგნების დამზადება ისე შემცირდა, რომ ხალხი შიმშილით იხოცება? იქნებ არც ის გამოეპარათ, რომ საბჭოთა კავშირი—ერთა კავშირია, მაგრამ ეს ერები კი ყველა უფლება აყრილია? იქნებ ისიც შეამჩნიეს, რომ მათი ქებული «სოციალისტური რევოლიუცია» პირწმინდა გატიტვლებული იმპერიალიზი გამოდგა? და თუ ყოველივე ეს შეამჩნიეს და გაიგეს—იმასაც ადვილად დაინახავენ, რომ ყოველივე ამაში დამნაშავეა, პირველ ყოვლისა, თვით ლენინი, რომელსაც ახლა ისინი თითქოს უბრუნდებიან და შემდეგ სტალინი. ამიტომ უკუგდება სტალინის და დაახლოვება ლენინთან, რასაც ახლა ხრუშჩოვები ქადაგებენ, არც ფორმალურათ და არც არსებითად არ შეიძლება აიხსნას თეორიულ-იდეური სხვადასხვაობით. სტალინი იგივე ლენინია, მხოლოდ უფრო ტლანქი და უფრო აზიური.

ამიტომ სასტიკად ცდებიან ყველა ისინი, ვისაც ჰგონიათ, რომ მეოცე ყრილობამ თითქოს რაიმე სერიოზული ცვლილება შეიტანა საბჭოთა რეჟიმში. ეხლანდელი «კოლეგიალური დიქტატურა» კიდევ უფრო საშიშია, ვინემ იყო პიროვნული დიქტატურა, რადგან თავის მელური ქცევით არა ერთი და ორი გულუბრყვილო შეჰყავს შეცდომაში, თითქოს აღებულია პოლიტიკის რაღაც ახალი კურსი, მაშინ, როცა არსებითად ყველაფერი ძველებურათ რჩება.

ეჭვს გარეშეა, რომ დღევანდელი მეთაურების ყოველივე ცდა მხოლოდ იქითაა მიმართული დააჯერონ ქვეყანა, რომ ისინი არაფერ შუაშია, რაც მოხდა ყველაფერი არის დიქტატორის ბრალი და ისიც ჭკუაზე შემცდარი დიქტატორის. მაგრამ ცდებიან სასტიკად. მართველ წრეს არც მთლიანად, და

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც მის რომელიმე წევრს, არ შეუძლია მოიშოროს პასუხისმგებლობა სტალინის რეჟიმის გამო. ყველა ისინი არამც თუ ემსახურებოდენ ამ რეჟიმს, არამედ მის დამკვიდრებაში და შენებაშიაც უდიდეს მონაწილეობას იღებდენ.

სტალინის ლეგენდა ინგრევა, მაგრამ ეს არ კმარა. უნდა დაინგრეს ამ ლეგენდის შედეგებიც. სტალინი აწი აღარ აღსდგება, მაგრამ სტალინიზმი ისევ სცოცხლობს. და ესეც უნდა ძირიან-ფესვიანად ამოვარდეს...

გრ. ურატაძე.

ლიკვიდაცია ბოლშევიზმის?

ჯეშმარიტად რომ საინტერესო ხანას განიცდის ამჟამად კაცობრიობა—ბრძოლა თავისუფლებისა და პურისათვის, რამაც უამრავი სისხლი დაღვარა საუკუნეთა გასწვრივ, შედის განხორციელების ეპოქაში. გამონაკლის შეადგენს ჯერ-ჯერობით რუსეთის იმპერია, სადაც ეს ბრძოლა სოციალიზმის სახელით გაწეული—გაეხვია მონობისა და ყმობის რეჟიმში. კაპიტალისა და შრომის დაპირდაპირება, დემოკრატიულ ქვეყნებში, უმეტეს შემთხვევაში თავდება ამ უკანასკნელის (შრომის) გამარჯვებით. ეკონომიურ ავანტაჟებს მოსდევს პოლიტიკურიც და ჩვენ ვხედავთ: ევროპაში, აზიაში, აფრიკაში, სადაც ამდენ ხანს—ასე ვსთქვათ, დასავლეთის კულტურის წარმომადგენელნი ბატონობდენ—მათ ბატონობას ბოლო მოეღო და დაპყრობილი ქვეყნები განთავისუფლდენ... სწორედ ამ ხნის განმავლობაში, რუსეთმა, რომელიც ასე მკაცრად ებრძვის სხვა ქვეყნებში კოლონიალიზმს—დაიპყრო ნახევარი ევროპა ამა თუ იმ სახით და მოახვია მათ მონობისა და ყმობის გამომხატველი რეჟიმი!.. დასავლეთში რევოლიუცია—ევოლიუციას იწვევს—რუსეთში კი რეგრეს და მონობას. რას მიეწერება ასეთი სხვადასხვაობა? მიეწერება იმას, რომ—დემოკრატია მიდის წინ ნორმალური განვითარების გზით თანახმად ეკონომიური და პოლიტიკური პირობებისა, მაშინ როდესაც რუსეთმა ნორმალურ გზას გვერდი აუარა და მოინდომა სხვა ქვეყნებზე ადრე სოციალიზმის განხორციელება... ლენინმა, ბოლშევიზმის მამა-მთავარმა, კარგად იცოდა, რომ რუსეთი სრულებით არ იყო მზად სოციალური რევოლიუციისათვის, არც ეკონომიურად და არც სოციალურად. ლენინმა ჟენევაში გამოუშვა შვეიცარიის მუშებისადმი გამოსამშვიდებელი მანიფესტი 1917 წელს—რუსეთში გამგზავრების წინ დღით—«მე ვიცი, ამბობდა ის, რომ გლეხური რუსეთი ჯერ კიდევ არ არის მზად სოციალური-რევოლიუციისათვის, მაგრამ განსაკუთრებული პირობები გამოწვეული ომის მიერ (ლაპარაკია 1914 წ.) მისცემენ მას (რუსეთს) საშვალებას—პირველმა ასწიოს დროშა სოც.-რევოლიუციის!» ეს განსაკუთ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული პირობები, რომელზედაც ლენინი ლაპარაკობს იყო —ოთხი წლის ომის მიერ გამოწვეული ყოველგვარი სიდუხჭირე და ყველაზე უფრო საშინელი სიმშილი. ასეთ პირობებში მისი ლოზუნგი «გრაბ-ნაგრაბლენნოე» მისწრება იყო დამშეული მასსისათვის...

საერთო გაჭივრებით და დროებითი მთავრობის სისუსტით ბოლშევიკებმა ისარგებლეს, ძალაუფლება ჩაიგდეს ხელში და ვინაიდან სოციალისტური რევოლიუციისათვის არავითარი პირობები არ არსებობდა—ისინი იძულებული შეიქნენ დაყრდნობოდენ ცეცხლსა და მახვილს... ასეთი რეჟიმის შერჩენა და გამაგრება—ასეთ პირობებში შეიძლებოდა მხოლოდ საშინელი დიქტატურით. სტალინმაც განაგრძო ლენინისა და მის მიერ შემუშავებული გეგმის განხორციელება—მართალია სოციალიზმი ვერ დაამყარა, მაგრამ რუსეთიდან შექმნა ისეთი ძლიერი სახელმწიფო, რომელიც რუსეთის ისტორიას არ ახსოვს!.. დღეს მისი მემკვიდრეები, უძლურნი განაგრძონ სტალინის მიერ შექმნილი რეჟიმი, ეძებენ გამოსავალს. ეს გამოსავალი არის ერთად-ერთი: უარყოფა სტალინის პოლიტიკის და ტაქტიკის.

სტალინმა ჩვენ გაგვანადგურა, თავის სამშობლო აცვა ჯვარს, ხოლო რუსეთიდან შექმნა უდიდესი და უძლიერესი სახელმწიფო, რუსეთის მეფეთა და სლავიანოფილთა მუდმივ საოცნებო საგანს ხორცი შეასხა, სლავიანების გაერთიანებით—ევროპის თითქმის სამიმეოთხედი და აზიის უდიდესი ნაწილი თავის გავლენის ქვეშ დააყენა... «სტალინი იყო სისხლის მსმელი, ჯალათი, დაუზოგველი მტარვალი» და სხვ... ამბობენ მისი ულირსნი მემკვიდრეები და თითონ კი მამა აბრამის ბატკნობას ჩემობენ. ეს ყველაფერი იმისთვის, რომ დაასაბუთონ მათი ახალი ხაზი. ლენინს ეფარებიან თითქოს როგორც დიდ დემოკრატს, მაშინ როდესაც ლენინს დემოკრატია სულ არ სწამდა ის, მუდამ დიქტატორი იყო აზრით და მოქმედებითაც, რაც სხვათა შორის ერთი დიდი მოტივთაგანი იყო ბოლშევიკ-მენშევიკების წარმოშვების... თავს მარქსისტებს ეძახდენ და სოციალისტ-რევოლიუციონერების თეორიას კი ანხორციელებდენ. ცნობილია, რომ ამ თეორიის თანახმად, ქვეყნის ეკონომიურად განვითარება და მომწიფება საჭირო არ არის სოციალიზმის განსახორციელებლად და ასე მეცნიერული სოციალიზმი, კლასთა ბრძოლა, დიალექტიური მატერიალიზმი და ბევრი სხვა მარქსიზმიდან გამომდინარე დებულებები განზე გადადვეს და რუსეთის ისტორიის მსვლელობა ცეცხლითა და მახვილით შეაჩერეს...

სინამდვილეს დიდხანს ხიშტებით ვერ შეაჩერებ—და ისინიც ფიქრობენ თუ სოციალიზმი ვერ დაამყარეს, სხვა რელსებზე გადასვლა დიდი მარცხით მაინც არ დამთავრდეს! სტალინის უარისყოფა—ეს ლენინის უარის ყოფაა; ეს მათ კარგად იციან, მაგრამ ვიღას შეაფარონ თავი. ამიტომ ფრთხილად

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქცევიან. «სოციალიზმის განხორციელება შესაძლებელია პარლამენტარული, ესე იგი, დემოკრატიული გზით—ამბობენ ისინი—რითაც ლენინის დებულება—იმპერიალისტურ ომების საშვალებით გამოწვეულ სამოქალაქო ომების—შედეგად—სოციალიზმის დამყარება უარყოფილი იქნა... თერმო-ნიუ კლეერის ბომბების ეპოქაში ეს დებულება თავისთავად ჰკარგავს მნიშვნელობას...

დღეს აღმოსავლეთი, ისე როგორც დასავლეთი, ომის საშინელების წინაშე მდგარნი, ზომებს ხმაროობენ, რათა გამოინახოს საშვალო ხაზი შეთანხმების, რასაც თანაარსებობას ეძახიან. სხვა გამოსავალი კაცობრიობას არა აქვს—თუ ის განწირული არ არის. ამიტომ არის რომ ბოლშევიკები ქადაგად დავარდნილნი, როგორც ჩვენში იტყვიან—დაწოწიალებენ ქვეყნიდან ქვეყნამდე, რათა ყველას ამცნონ სტალინის მტარვალობა და თავიანთი ლმობიერება. თავაზობენ ყველას მეგობრობას და ეკონომიურ დახმარებას. ერთი სიტყვით ყველაფერს სჩადიან, რომ დაანახონ ყველას მათი კეთილგანწყობილების დიდი სურვილი და სტალინის ბოროტება!.. ევროპას მათი სიტყვები არ სწამს და უცდის დამამტკიცებელ ფაქტებს მათი ლაპარაკისას ე. ი.: პოლიტიკურების განთავისუფლებას ციხეებიდან და კონცეტრაციონალური ლაგერებიდან. რკინის ფარდის მოხსნას, დაპყრობილი ქვეყნებიდან ჯარების გაყვანას და სხვ... რაც იქნება დასაწყისი ბოლშევიზმის ლიკვიდაციის და დემოკრატიულ გზაზე შედგომის.

გვინდა ვირწმუნოთ, რომ ამას მოყვება სტალინის მიერ უდანაშაულოდ წამებულ საქართველოს «რეიბილიტაციაც».

ს. ასათიანი.

თავისუფალი პროფკავშირები და კომუნისტები.

ბრიუსელში შესდგა თავისუფალი პროფკავშირების საერთაშორისო კონფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის თათბირი. ამ კონფედერაციაში გაერთიანებულია 55 მილიონი მშრომელი. თათბირი გაგრძელდა სამი დღე. თათბირმა განიხილა პირველ ყოვლისა საბჭოთა კომუნისტური პარტიის მეოცე ყრილობის მოწოდება მუშათა მოძრაობის გაერთიანების შესახებ და კომუნისტური პროფკავშირების თანამშრომლობაზე თავისუფალ პროფკავშირებთან და მიიღო შემდეგი დადგენილება: ჩვენ ერთხელ კიდევ უნდა განვაცხადოთ, რომ თანამშრომლობა კომუნისტურ პროფკავშირებთან ჩვენ არ შეგვიძლია შემდეგი მოსაზრებით: საბჭოთა პროფკავშირებს არ შეუძლიათ იბრძოლონ სამართლიანი ხელფასის მოპოებისათვის, არც სამუშაო საათების შემოკლებისათვის, არც შრომის პირობების გაუმჯობესებისათვის; არ შეუძლიან დაიცვან საბჭოთა მშრომელების ინტერესები. ისინი არი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ან მხოლოდ და მხოლოდ იარაღი და დამხმარე საბჭოთა მთავრობის. საბჭოთა პროფკავშირების მეთაურები არ არიან პროფკავშირების წარმომადგენელნი, ისინი არიან მთავრობის ბრძანებათა აღმასრულებელნი. თავისუფალ დემოკრატიულ პროფკავშირებს არ შეუძლიათ არსებობა საბჭოთა კავშირში მანამდე, სანამ მშრომელთ არ ექნებათ ისეთივე დემოკრატიული უფლებები, როგორითაც სარგებლობენ თავისუფალი ქვეყნების მძრომელები.

კომ. პარტიის მეოცე ყრილობამ რეაბილიტაცია უყო ზოგიერთ კომუნისტებს, რომლებიც გახდენ სტალინის მსხვერპლნი, მაგრამ არაფერი სთქვა იმ მრავალ მილიონ უდანაშაულო არაკომუნისტებზე, რომელთა შორის ბევრი პროფკავშირების ხელმძღვანელებიც ურევია და კონცლაგერებში იტანჯებიან. ყრილობამ არაფერი სთქვა მთელ ხალხებზე, რომელნიც მასიურ რეპრესიების და გაჟლეტის მსხვერპლნი გახდენ მხოლოდ იმიტომ, რომ ვერ ეგუებოდენ სტალინის რეჟიმს.

თავისუფალ მსოფლიოს არ შეუძლია ირწმუნოს საერთაშორისო ბოროტმომქმედთა გულწრფელობა, მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი აკრიტიკებენ თავის ყოფილ მეთაურს. იგივე პირები, რომლებიც დღეს სტალინის მეთოდს გმობენ, ჯერ კიდევ გუშინ იყვენ სტალინის ერდგულ დამქაშებათ. ხოლო იმათ ვისაც ჰქონდათ გამბედაობა გაელაშქრათ ტეროორისტული რეჟიმის წინააღმდეგ, ფიზიკურად ანადგურებდნენ. საბჭოთა დიქტატორებს არ ძალუძთ გაათეთრონ ჩვენს თვალში საბჭოთა რეჟიმი. არავითარი საბუთი აო გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ბულგანინ-ხრუშჩოვი არ განაგრძობენ ლენინ-სტალინის მსგავსად მოქმედებას. ჩაგრული ხალხისათვის კი სულერთია, მათ ერთი დიქტატორი ავიწროებს თუ რამდენიმე. ის პოლიტიკური სისტემა, რომელსაც არ სურდა ერთი დიქტატორის თავიდან მოშორება, არ იძლევა არავითარ გარანტიას, რომ ის ხვალ შესძლებს თავიდან მოიშოროს დიქტატორთა მთელი ჯგუფი, რომელნიც სჩადიან ისეთსავე დანაშაულს, როგორსაც სჩადიოდა სტალინი.

თავისუფალ პროფკავშირების აღმასრულებელი კომიტეტი მოუწოდებს მსოფლიოს მშრომელებს არ დაუჯერონ საბჭოთა მთავრობის სიტყვებს, სანამ მათ სიტყვებს არ მოყვება კონკრეტიული ფაქტები, რომელიც დაამტკიცებს, რომ მათ ხელი აიღეს დიქტატურაზე...

N○

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა.

19 მაისს გაიხსნა ქართული ეროვნული საბჭოს საზოგადო ყრილობა. პირველსავე სხდომაზე ყრილობამ აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის ნ. ცინცაძის სიტყვის და რაჟ. არსენიძის მოხსენების შემდეგ, თბილისში მომხდარ გამოსვლების გამო, მიიღო ერთხმად და უკამათოთ შემდეგი დეკლარაცია:

ქართული ეროვნული საბჭოს

დ ე კ ლ ა რ ა ც ი ა

მეტად საგულისხმო და არაჩვეულებრივი მოვლენები მოხდა ამა წლის მარტში თბილისში და საქართველოს სხვა ადგილებში.

ქართველი ხალხი გამოვიდა ქუჩაში ამაყად, გაბედულად, მოურიდებლად, რომ გამოეთქვა თავის ბოღმა და გულისწყრომა საქართველოს ეროვნული და სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ. მან გასტეხა ყინული ტეროორისტულ რეჟიმის შიშისა, რომელიც ენას უკრავს მთელ საბჭოთა 200 მილიონიან მოსახლეობას.

სტალინის კულტის დამხობა მეოცე კომუნისტურ ყრილობაზე მხოლოდ საბაბი იყო, მხოლოდ დასაწყისი ამ მოძრაობის, რომელმაც სპონტანიურად იფეთქა ქართველ ხალხში პირველ ყოვლისა, საზოგადოებრივობაში. სტალინი შეიძლება სწამდათ კომუნისტურ ელემენტებს, მაგრამ არა ქართველ ხახლს, რომელმაც იგი ჯერ კიდევ 1907 წლიდან უარყო და ჩამოაცილა განმათავისუფლებელ მოძრაობის რიგებს. ქართველი ხალხის გამოსვლების ძირითადი მოტივები იყო მიტაცებული ეროვნული და სოციალ-პოლიტიკური თავისუფლების დაბრუნება, თავის თავის მესვეურად გახდომა, მოსკოვიდან შემოსული კომუნისტური ტირანიისაგან თავის დაღწევა.

30268

რამდენიმე დღის განმავლობაში, მარტის ექვსიდან ათ მარტამდე, განუწყვეტელი და სულ უფრო მრავალ რიცხოვანი მანიფესტაციებით გამოამჟღავნა ქართველმა ხალხმა თავის უარყოფითი დამოკიდებულება მოსკოვის კოლექტიურ დიქტატურის და სულშემხუთველი კომუნისტურ რეჟიმისაგან.

ქართველი ახალგაზდობა და მთელი ხალხი გამოვიდა ქალაქის ქუჩებში უიარაღოთ, მშვიდობიანი მანიფესტაციებით. დაუნდობელი და სისხლიანი კომუნისტური ხელისუფლება მათ თავს დაესხა ჯარით და მილიციის რაზმებით, თო-

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფებით და ტყვიამფრქვეველებით. დიდი მსხვერპლი მოიტანა ჯალათი ხელისუფლების მუხანათურმა თავდასხმამ. 100 მეტი მოკლული, მრავალი ასეული დაჭრილი და კიდევ უფრო მეტი დატუსაღებული და ციმბირის საკონცენტრაციო ბანაკებში დაუყონებლივ გაგზავნილნი განუსჯელათ და გაუსამართლებლად.

ქართველი ხალხი გამოვიდა ღიათ, რომ მთელი ქვეყნისათვის ემცნო თავის სურვილი ოკუპანტების თავიდან მოცილებისა და დამოუკიდებელი თავისუფალი საქართველოს კვლავ აღდგენისა. ლაჩარმა მტარვალმა კი თავის ბოროტ-მოქმედება, თავის სისხლიანი ანგარიშის გასწორება დამალა, როგორც საბჭოთა მცხოვრებლების, ისე დასავლეთის საზოგადოებრივობისაგან. მაგრამ მისმა ცდამ ამაოდ ჩაიარა და თუმცა ერთ თვეზე მეტი დაგვიანებით, მაგრამ ქართველი ხალხის სამართლიანი ხმა და ოკუპანტების მტარვალური ქცევა—მაინც მოეფინა მსოფლიოს.

დაღვრილი უმანკო სისხლი უდანაშაულო ხალხის შეღაღადებს დღეს მთელ კაცობრიობას და მასთან ერთად ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა. მარტის მანიფესტაციები ახალი გამომყღავნებაა იმ ბრძოლის, რომელიც ოკუპაციის პირველი დღიდან არ შეუწყვეტია ქართველ ხალხს. მარტის დღეები გაგრძელებაა 1924 წლის სახალხო აჯანყების და გამომხატველი ქართველი ხალხის დაუშრეტელი წყურვილისა —იყოს თავისუფალი და დამოუკიდებელი.

ქართული ეროვნული საბჭოს ყრილობა მიმართავს მთელ კაცობრიობას, ყველა სახელმწიფოთა მთავრობებს, განსაკუთრებით,—გაერთიანებულ ერთა ორგანიზაციას. მიმართავს ყველას, ვისაც სწამს და უყვარს თავისუფლება—ყურადღება მიაქციონ ამ პატარა, კულტურული და გაბედული ერის უსაშინელეს ტრაგიკულ მდგომარეობას. კომუნისტური ტირანია, მოსკოვში გაბატონებული მოევლინა მას ამ 36 წლის წინეთ როგორც დამპყრობელი და ამ ხნის განმავლობაში წამების ჯვარზე ყავს გაკრული მთელი ქართველი ერი.

ყოველი სიტყვა თანაგრძნობისა ჩვენი ერისადმი—მალამოთ მოხვდება მის ჭრილობებს. ყოველი სიტყვა დაგმობისა და ზემოქმედებისა ტირანების მიმართ,—იქნება გამამხნევებელი, როგორც ქართველი ერის, ისე საბჭოთა საპყრობილეში მომწყვდეული ყველა ერისათვის...

რედაქციისაგან.

ჟურნალი აწყობილი იყო, როცა ყრილობა დათავდა, ამიტომ ვერ ვათავსებთ მისი მუშაობის შესახებ ანგარიშს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამოსვლები თბილისში.

7 მარტს, თბილისში მოხდა ქართველ სტუდენტების დიდი მანიფესტაცია. დაწვრილებით ცნობები ჯერ კიდევ არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ მანიფესტაციები განმეორდა მეორე და მესამე დღესაც.

მიღებული ცნობების თანახმად ქალაქს ჯერ კიდევ ხუთ მარტს დაეტყო მღელვარება. მღელვარების უახლოესი მიზეზი იყო მოსკოვის ბრძანება არ დაეშვათ არავითარი მანიფესტაციები გარდაცვლილი დიქტატორის დაბადების დღის აღსანიშნავად. 7 მარტს სტუდენტობა სტალინის და ლენინის პორტრეტებით ქუჩაში გამოვიდენ. მანიფესტაციას სრულიად მშვიდობიანი ხასიათი ჰქონდა, სანამ არ ჩაერია ჯარი. ჯარმა მანიფესტანტებს დაშლა მოსთხოვა და როცა არ დაიშალენ— თოფები დაუშინა. არიან დაჭრილები და მოკლულები. ჯარის ჩარევამ მეორე დღეს ახალი მანიფესტაციები გამოიწვია. ახლა სტუდენტების მანიფესტაციას ხალხიც შეუერთდა. მდგომარეობა გართულდა. ქუჩაში ოტობუსების და ავტომობილების მოძრაობა შეწყდა. მანიფესტანტები სტალინის სახელობის პარკში შევიდენ და იქ მისი დიდი ძეგლის კვარცხლბეკიდან სიტყვები წარმოსთქვენ. შუაღამისას მანიფესტანტები პარკიდან გამოვიდენ და ფოსტის ბიუროსაკენ გაემართენ. აქ მანიფესტანტებს ჯარმა გზა გადაუჭრა და დაშლა მოსთხოვა. მანიფესტანტებმა ყურადღება არ მიაქციეს და გზა განაგრძეს. ჯარმა თოფები გაისროლა ჯერ ჰაერში და შემდეგ კი პირდაპირ. დაჭრილები და მოკლულები ამ დღესაც იყვენ. 9 მარტს ქუჩებში ტანკები გამოვიდა, მაგრამ მანიფესტაციებს, მაინც ადგილი ჰქონდა. შედარებითი სიწყნარე მხოლოდ ათ მარტს ჩამოვარდა.

თბილისის ამბებმა მოსკოვი მეტად შეაშფოთა და იქ მყოფ 27.000 აგიტატორიდან—15.000 საქართველოში სასწრაფოთ გადაიყვანა აგიტატორები მთელ საქართველოს მოედვენ და რამდენიმე დღის განმავლობაში 200 მეტი ლექცია წაიკითხეს მეოცე ყრილობის შესახებ. იმავე მოსკოვის ბრძანებით თბილისში შესდგა სასწრაფო თათბირი ე. წ. პარტიული აქტივისა. თათბირზე გამოიყვანეს სოულიად უცნობი პირები, რომლებიც ჰკიცხავდენ მანიფესტანტებს და იმავე დროს მონა-მორჩილებას უცხადებდენ «კოლექტიურ ხელმძღვანელობას». ამ თათბირზე შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე მუსერიძემ ეს სტუდენტთა მანიფესტაციები «ბურჟუაზიულ-ნაციონალიზმის გადმონაშენით» მონათლა და ამ «ხულიგანური საქციელის წინააღმდეგ» მკაცრი ზომების მიღება მოითხოვა. მუსერიძეს მხარი დაუჭირა ჯარების უფროსმა ფე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიუნივმაც. აწრიპინდენ ქართულ-რუსული კომუნისტური გაზეთებიც და ყოველი საშვალებით ცდილობენ ქართველი სტუდენტების ამ გაბედულ მანიფესტაციას სახელი გაუტეხონ და მისი ნამდვილი მნიშვნელობა მიაფუჩეჩონ. ქართული «კომუნისტი» თავს იმართლებს—«ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას» დღემდე ჯეროვანი ყურადღება ვერ მივაქციეთო და მოითხოვს პროფესორ-მასწავლებლებისაგან «აწარმოვონ შეურიგებელი ბრძოლა პიროვნების კულტის წინააღმდეგ და ალაგმონ სტუდენტების ასეთი «ხულიგანური საქციელი». «ზარია ვოსტოკა» კი უმტკიცებს თავის მკითხველებს, რომ «ანტისტალინური კამპანია სრულიად არ ნიშნავს ანტიქართულ კამპანიასო და ისიც ითხოვს სასტიკი ზომების მიღებას იმათ წინააღმდეგ «ვინც ჯერ კიდევ ვერ შეითვისა საბჭოთა პატრიოტიზმის პრინციპები»-ო.

მოსკოვმა კარგად იცის, რომ საქართველოში არასდროს არ ყოფილა არც პიროვნული და არც კოლექტიური დიქტატურის კულტი. ქართველი ერი მუდამ და ყოველთვის თავისუფლების და დემოკრატიის მოტრფიალე იყო. მართალია მანიფესტანტებს ლენინის და სტალინის სურათები ეჭირათ ხელში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სტალინის კულტის მომხრენი იყვენ. რუსი სოც.-რევ. მეფის მანიფესტით (და ისიც ყალბი) მიდიოდენ გლეხებში რევოლიუციონური მუშაობისათვის, მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავდა იმას, რომ ისინი მეფის მომხრენი იყვენ.

ტოტალიტარული დიქტატურის დროს, მთავრობისადმი უკმაყოფილება მრავალნაირ ფორმებში იჩენს ხოლმე თავს. სტალინი, უეჭველია, არავის უყვარდა, მაგრამ არც მისი მემკვიდრენი უყვარს ვინმეს. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ვინმე დღევანდელი მეთაურებისადმი სიძულვილს—მკვდარი დიქტატორისადმი დემონსტრატიული თანამგრძნობით გამოხატავს. ამის მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს სტუდენტების მანიფესტაციები თბილისში, რაც, უეჭველია, გამოწვეული იყო არა იმდენათ სტალინის სიყვარულით, რადმენად მისი მემკვიდრეების სიძულვილით...

მოსკოვი, ქართველი ერის უკმაყოფილების გამომჟღავნებას, ყოველთვის ნაციონალიზმათ და შოვინიზმათ ნათლავს და ულმერთოდ სჯის ყველას, ვინც ერის უფლებებზე ხმას ამოიღებს. მაგრამ ამაოა მათი ცდა. დაწყებულ მოძრაობას ვერ შეაჩერებს ვერც ცილისწამება და ვერც იარაღის ჟღარუნი. განწირული რეჟიმი უნდა დაინგრეს. მისი აღსასრული მოახლოვებულია. მისი საფლავის გათხრა უკვე დაიწყო. ისტორიის განაჩენს ვერც «კოლექტიური დიქტატურა» გადაურჩება. სადაცაა მათი საათიც დაჰკრავს...

იგი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოციალისტური ინტერნაციონალი.

მარტის პირველ რიცხვებში ლონდონში შესდგა სოციალისტური ინტერნაციონალის ბიუროს სხდომა, რომელმაც იქონია მსჯელობა მოსკოვის კომუნისტების წინადადებაზე საერთო ფრონტის შექმნის შესახებ. სოც. ინტერაც. ბიურო აცხადებს, რომ ის უარყოფს ყოველგვარ თანამშრომლობას კომუნისტებთან. დადგენილებაში ნათქვამია, რომ სოციალიზმს და კომუნიზმს შორის არაფერი საერთო არ არის. კომუნისტებმა დაამახინჯეს იდეა სოციალიზმისა. იქ, სადაც ისინი იმყოფებიან სახელმწიფოს სათავეში—ყველგან ჩაახრჩვეს თავისუფლება, შეაჩერეს პოლიტიკური პროგრესი და მუშების იმ უფლებებს, რომლისათვისაც რამდენიმე თაობა იბრძოდა, კომუნისტებმა მისცეს სრულიად ყალბი შინაარსი. ჩვენ გვწამს დემოკრატია—მათ არაფერი სჯერათ მისი. ჩვენ გვწამს ადამიანის უფლება—ისინი კი მასხრათ იგდებენ მას. სტალინის შარავანდედის მოხსნა ამ მდგომარეობას არ სცვლის სრულიად. კოლექტიური ხელმძღვანელობის ხელშიაც კომუნისტური რეჟიმი იგივე დიქტატორულია და რასაც ახლა ლენინიზმს უწოდებენ, არის მხოლოდ უბრალო განმეორებითი გამოცემა იმის, რასაც შემდეგ ეწოდებოდა «სტალინიზმი».

ჩვენ არ შეგვიძლია დავივიწყოთ, რომ საბჭოთა ბლოკის ქვეყნებში სოციალისტებს წართმეული აქვთ პოლიტიკური უფლებები და რომ მრავალი მათი წევრი იმყოფებიან პატიმრობაში, მხოლოდ იმისთვის, რომ მათ სწამთ არსებობა სხვადასხვა გზებისა სოციალიზმის განხორციელებისა.

ბიურო ადასტურებს რა სოციალისტური ინტერნაციონალის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას, აცხადებს რომ სოციალისტებს არავითარი საბუთი არ აქვთ გადასინჯონ თავიანთი უარყოფითი პოზიცია კომუნისტებთან პარტიული თანამშრომლობის საკითხში, მიუხედავათ მათი ტაქტიკის შეცვლისა...

* * *

ახლო აღმოსავლეთში.

მოსკოვმა თავისი გეგმა ვერ განახორციელა ევროპაში. ბერლინსა და ქენევაში ის შეეცადა მოკავშირეთა შორის გათიშვის გზით ატლანტიკის კავშირის დანგრევას, ევროპის თავდაცვის შესუსტებას.

ევროპის პოლიტიკური სტაბილიზაცია შეუძლებელი ხდება მოსკოვის ზრახვების გამო, უმთავრესათ გერმანიის პრობლემის მიმართ. ამხანად შენელებულ მდგომარეობას სცვლის მოსკოვის აქტიური გამოსვლა ახლო აღმოსავლეთის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეყნებში. მოსკოვს არ ასვენებს ატლანტიკის კავშირის ბაზები ამ ქვეყნებში მან კარგად უწყის, რომ ამერიკას არ ძალუძს მიუხედავათ ნავთის დიდი მარაგისა, დაეხმაროს თავის მოკავშირეებს ევროპაში. ამ უკანასკნელს და საერთოთ ატლანტიკის კავშირს სჭირდება არაბთა ქვეყნების ნავთი, რომლის საბადოების პროდუქცია ისე გაიზარდა, რომ ის გაუთანასწორდა ამერიკას*), და აი მოსკოვს იერიშები მიაქვს, რათა არაბთა ქვეყნებიდან განდევნოს ინგლის-ამერიკის გავლენა. მან დაიწყო მუსულმანურ ქვეყნების ნაციონალურ გრძნობათა გაღვივება. თვით კოლონიალურ იმპერიალიზმის მატარებელმა გამოვიდა ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნების მფარველად. თავის აგენტების საშვალებით ის სთესავს შუღლსა და შფოთს ამ ხალხებში. შეიძლება მას მართლა არ სურდეს ომი, მაგრამ არც ზავი სურს, პერმანენტულ ქაოსში ის ასუსტებს ამ ქვეყნებს, მეორეს მხრივ გამოდის მის დამხმარეთ.

ამ პოლიტიკურ სტრატეგიის მოწინააღმდეგე ბანაკში საამწუხაროთ არაა ერთი მთლიანი და მყარი პოლიტიკა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მიმართ. ჯერ-ჯერობით ამ მდგომარეობის მსხვერპლი ხდება ისრაელი. მოსკოვი აიარაღებს კაირის ახალ დიქტატურას რომლის ამბიციები სცილდება ისრაელის საზღვრებს. ბაგდადის ფრონტმა ვერ გაამართლა ჯერ-ჯერობით მოკავშირეთა იმედი, მის გავლენის ფარგალში ვერ მოემწყვდა სხვა არაბთა ქვეყნები, ასე რომ ისრაელი რჩება გარშემორტყმული. მისი დაცვის საკითხი სდგას თავისუფალ ერთა კავშირის წინაშე.

დიდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც მრავალ საუკუნეთა ტანჯვაში გამოვლილმა ებრაელობამ, საკუთარი ნაციონალური თავშესაფარი პოვა. ენერგიულ ბრძოლით, შრომით, წვალებით შეუდგა აღმშენებლობას. მოკლე ხნის მანძილზე მან შესძლო შეექნა ეროვნული ოჯახი, გამოიყენა ტეხნიკის უმაღლესი განვითარება და მისი საშვალებით მოაწყო ქვეყნის ინდუსტრია. ახლო აღმოსავლეთის ჩამორჩენილ მხარეში ისრაელი მოსჩანს ვითარცა სამაგალითო ერთეული, რომლის წაბაძვით, კეთილმეზობლურ განწყობილების დამყარებით მხოლოდ მოიგებს მისი ახლო მყოფი ჩამორჩენილი ერები. საამწუხაროთ დღიდან ისრაელის დაარსებისა, ამ პატარა ქვეყანას მოსვენება არ ღირსებია და გამუდმებულ კონფლიქტში იმყოფება არაბთა ქვეყნებთან.

მოსკოვის პოლიტიკა და მისი აშკარა ზრახვები, რაც ზევით მოვიხსენიეთ არა თუ ხელს უწყობს დაზავებას, პირიქით ახანგრძლივებს, ამწვავებს ამ მხარეში მოქცეულ ერთა ურთიერთობას. მიუხედავათ დროებითი სიწყნარისა, ისრაელის არსებობა საფრთხეში რჩება. თუ მოკავშირეებიდან არ იქნა

*) იხ Le Reveil du monde musulmans—Ferieux.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი მთლიანი და მყარი პოლიტიკა გატარებული მოსკოვის ინტრიგების აღსაგველად.

ისრაელის სახელმწიფოს უნდა მიეცეს საშვალება დამშვიდებით განაგრძნოს არსებობა. ებრაელობამ ეს დაიმსახურა, ეს უნდა შეიგნოს თავისუფალ ქვეყნებმა და მას მფარველად მოევლინოს.

ა. ბაიერიძე.

პასუხი მეგობარს.

უნდა მოგახსენოთ, რომ ქართველი ერისათვის აღარ სდგას ნაციონალური საკითხი სამსჯელოთ და გადასაწყვეტათ. ამ სფეროდან დიდიხანია ის გამოვიდა. 26 მაისს ჩვენმა ხალხმა თავის საქვეყნო განცხადებაში გამო

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველი ერის მიზნის მისაღწევათ სწორი პოლიტიკური გეზის ქონა, მოქმედების მეთოდების შერჩევა, ყველა პრაქტიკულათ გადასადგმელი ნაბიჯის მიზნის და დროა და გარემოების შეფარდება. აი აქ შეიძლება დაგვირჩეს ცვლა გზის, საშუალების, ტაქტიკის, მაგრამ 26 მაისის ნაანდერძევი—ქართველი ერის სუვერენული უფლების აღდგენის დროშა მუდმივ ხელთ ეპყრობა ჩვენ პარტიას, როგორც ბრწყინვალე ვარსკვლავი ჩვენი სალსის ისტორიული გზის მაჩვენებელი.

გ. ერაძე.

ხსოვნად ქართველ დედას!

(ქ-ნ არიანა ურატაძის გარდაცვალების გამო)

დედა იყავი უსპეტაკესი:
წმინდა, ნათელი, ქართულ გვარიდან,
სათუთი, ტკბილი, უსაყვარლესი,
გული დაგქონდა ქრისტეს ჯვარიდან.
წამების გზაზე იმედს ნერგავდი,
ტრფობის უღელი ბოლომდის სწიე,
ქართული გრძნობით ჩვენს დედებს ჰგვანდი
დღეს აღარ გვყავხარ! დარდი გვასიე.
მუდმივ გაგვშორდი, ვეღარა გხედავ
და შენს საფლავზე მყუდრო დარია,
მაგრამ იცოდე შენ ჩემო დედავ
შენს შვილის გულში სიმწუხარეა!
ობლად დაგვტოვე მიუსაფარი,
შენს ტკბილ მკერდიდან მოწყვეტილები,
მუდამ ჩვენთან ხარ, არა ხარ მკვდარი
არ დაგივიწყებს შენი შვილები.
რა გამოგვივა მწუხრით, დარდიდან,
გვიტოვე ტრფობა უმხურვალესი,
გული წაიღე ქრისტეს ჯვარიდან
ჩვენს სიყვარულში ამონალესი.
ობოლ საფლავზე ვარდი გაჩნდება
ქართული მიწის მთა და ბარიდან.
აქ შენი ხსოვნა ცოცხლად დარჩება
წმინდა ნათელი ქართულ გვარიდან.

დ. ქიმერიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენ. დროს გარდაცვალება.

ამა წლის მარტში, ამერიკაში გარდაიცვალა ჩვენი ახლო მეზობელი ერის, სომხების, ერთი გამოჩენილი მოღვაწეთაგანი გენ. დრო.

გენ. დრო სარგებლობდა საერთო სიმპატიით და სიყვარულით მთელ სომხის ერში, როგორც კავკასიის, ისე ოსმალეთის სომეხთა შორის. მისი მოგონების პატივსაცემათ გამართულ სხდომაზე ქართულ ეროვნულ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სახელით სამძიმარი სიტყვა წარმოსთქვა— ბ-ნ ნოე ცინცაძემ.

«ჩვენი დროშა»-ს რედაქცია თავის მხრით გულწრფელ თანაგრძნობას უცხადებს სომხის ერს და დაშნაკცუტუნის პარტიას ამ მძიმე დანაკლისისათვის.

დავით რევაზიშვილის გარდაცვალება.

23 იანვარს, სოფელ ლევილში, თავის ბინაზე, უეცრად გარდაიცვალა დავით რევაზიშვილი. დავითი იყო ძველი სოციალდემოკრატი, ეწეოდა რევოლიუციონურ მუშაობას გორის მაზრაში თვითმპყრობელობის წინააღმდეგ. ის იყო გლეხი-კაცი, მაგრამ საკმაოთ მომზადებული პოლიტიკური მუშაობისათვის. რევოლიუციის გამოცხადების და საქართველოს დამოუკიდებლობის დროს ის იყო გორის მაზრის სოფ. კავთიხევის კომისრათ და დიდ ენერგიას იჩენდა სოფლის საზოგადოებრივი ცხოვრების მოსაწესრიგებლათ.

საქართველოს დაპყრობის შემდეგ ის დიდ მონაწილეობას იღებდა საოკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ გამართულ საერთო მოძრაობაში, რაიცა დასრულდა 1924 წლის აჯანყებით. აჯანყებაში მან მიიღო აქტიური მონაწილეობა, რის შემდეგ იგი ველარ დარჩებოდა საქართველოში და გადმოიხვეწა უცხოეთში. დათა ცხოვრობდა სოფ. ლევილში და თავის პატიოსანი შრომით თავსაც იჩენდა და სხვებსაც პატივს ცემდა.

დავითი დასაფლავებულია ლევილის ძმათა სასაფლაოზე. მის დასაფლავებას 28 იანვარს მრავალი ქართველობა დაესწრო. სამგლოვიარო პანაშვიდი გადაიხადა მამა ილიამ.

გიორგი მხეიძე.

სირიიდან გვატყობინებენ, რომ იქ საავადმყოფოში გარდაიცვალა უბედური შემთხვევის გამო პატრიოტი გიორგი ივანეს ძე მხეიძე. განსვეხებულს დარჩა ორი ქალიშვილი და ორი ვაჟი. დასაფლავებულ იქნა მართლმადიდებელ ეკლესიის სასაფლაოზე (დამასკში) 14 მარტს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შალვა აბდუშელის სიტყვა *)
მიკიჩა ვარდოიანის დასაფლავებაზე.

მიკიჩა ვარდოიანი დაიბადა ქ. განჯაში. ის უკვე კარგა მოზრდილი იყო, როდესაც მამა მისმა ჩამოიყვანა თბილისში და მიაბარა სახელოსნო სასწავლებელში. აქ მან შეისწავლა ზეინკლობა და შეგირდობა რომ გაათავა, გადავიდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოში სამუშაოთ. მალე მას ვხედავთ მემანქანეთ. კახეთში მისვლა-მოსვლის დროს გაიცნო თელაველი ქალი ქ-ნი მანია, რომელიც გახდა მისი მეუღლე და მისი ცხოვრების თანამგზავრი. ამან ის უფრო დააკავშირა ჩვენს ქვეყანას.

სახელოსნოში და რკინის გზაზე მან გაიცნო სოციალისტი მუშები და შევიდა სოც.-დემ. მ. პარტიაში. თბილისიდან მიკიჩა გადაყავთ ბაქოში, სადაც ის მუშათა მოძრაობის შუა გულში ვარდება. ის იმთავითვე ემხრობა მენშევიკებს და სასტიკ წინააღმდეგობას უწევს: შაუმიანს, ალ. ჯაფარიძეს და თვით სტალინსაც. დახმარებას უწევს იმ ჟამათ იქ მყოფთ. სეით დევდარიანს, ისიდორე რამიშვილს, ნოე რამიშვილს და ბევრ სხვას. მისი ოჯახის კარი ღია იყო ყველა მათთვის, ვისაც თავშესაფარი არ ქონდა. იქ ინახავდენ თავს ვლასა მგელაძე, ვალოდია გოგვაძე და სხვები და მათ შორის მომავალი ჯალათი ცნობილი ანდ. ვიშინსკი, რომელიც იმ დროს ხელმძღვანელი იყო მენშევიკების შეიარაღებული ძალების.

რევოლიუციის დროს მიკიჩა თბილისშია. მან განსაკუთრებითი როლი ითამაშა ქართველ-სომეხთა შორის მომხდარ სამწუხარო ინციდენტის დროს. მიკიჩა წევრია მუშათა დეპუტატების საბჭოსი, წევრია სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის; იყო წევრი აგრეთვე დამფუძნებელი კრების.

ჩვენი სამშობლოს დაპყრობის წლისთავზე მე მას შევხვდი ჩეკაში დაპატიმრებულ სხვა მოწინავე მუშათა შორის. ამ დღიდან იწყება ჩვენი დაახლოება, რაც გაგრძელდა თითქმის 35 წელი. 1922 წ. ბოლშევიკებმა 64 კაცთან ერთათ მე და მიკიჩაც გადმოვვაასახლეს უცხოეთში. საქართველოს დიდი პატრიოტი ის ერთი წუთითაც არ ივიწყებდა აგრეთვე თავის სამშობლოს—სომხეთს.

უკვე ოთხი წელია რაც მიკიჩას დავლა დაეცა. ულმობელმა სენმა დააუძლურა მისი მძლავრი ძარღვები, მაგრამ მას დიდხანს შერჩა მისი გონება, საღი მსჯელობა, გულის სითბო და გრძნობიერება.

წელს მას უსრულდებოდა 85 წელი, ამაში 60—70 წელი მან იბრძოლა თანასწორობისათვის და სამართლიანობისათვის.

---

*) იბეჭდება შემოკლებით. რედ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა მ ძ ი მ ა რ ი.

ჩვენმა თანამემამულემ გოგი წერეთელმა მიიღო ცნობა საქართველოდან თავის მამის გარდაცვალების შესახებ. 11 მარტს ქართულ ეკლესიაში გადახდილ იქნა პანაშვიდი, რის შემდეგ დამსწრენი მიპატიჟებულ იქნა სასადილოში. მასპინძელმა გოგი წერეთელმა სუფრის ხელმძღვანელობა მიანდო თავის ბიძაშვილს გრ. წერეთელს. საინტერესო სიტყვები წარმოსთქვეს: მამა ილიამ, აკაკი ჩხენკელმა, ნოე ცინცაძემ, გრ. ურატაძემ, სიმ. ლიაძემ, ვალ. ჩუბინიძემ.

«ჩვ. დრ.» რედაქცია თავის მხრივ თანაგრძნობას უცხადებს ბ-ნ გოგი წერეთელს ძვირფასი მამის დაკარგვის გამო.

მ. ვარდოიანის გარდაცვალების 40 დღის თავზე.

22 იანვარს ჩვენი სასიქადულო ამხანაგის მიკიჩა ვარდოიანის გარდაცვალების 40 დღის თავზე გადახდილ იქნა პანაშვიდი მის სასაფლაოზე სოფ. ლევილში, რის შემდეგ ქ ნ მანია ვარდოიანმა დამსწრენი მიიპატიჟა სასადილოში. სუფრა გახსნა ამხ. ბოლქვაძემ და შესავალ სიტყვის შემდეგ სუფრის ხელმძღვანელობა სთხოვა ამხ. გრ. ურატაძეს.

სიტყვები წარმოსთქვეს: ვ. ინწკირველმა, გოგი წერეთელმა, ნ. ცინცაძემ, ლ. ფაღავამ, მირ. მელუამ, ვ. ჩუბინიძემ, შ. აბდუშელმა, გრ. წერეთელმა, წაკითხულ იქნა კ. ორაგველიძის წერილი.

ყველანი უდიდესი პატივისცემით იგონებდენ მ. ვარდოიანის პიროვნებას და ღირსეულად აფასებდენ მის მრავალ შინაარსიან მოღვაწეობას.

ნ. ჟორდანიას საფლავზე.

ყოველ წლიურად 26 მაისს, ქართული სათვისტომოს გამგეობა იწვევს საზოგადოებას, საქართველოს პრეზიდენტის ნოე ჟორდანიას საფლავზე.

ხოლო მისი დაბადების დღეს პარტიის საზ—თელი ბიუროო და პარიზის ს.-დ. ორგ—ს კომიტეტი ოჯახთან შეთანხმებით აწყობს ამხ—ბის შეხვედრას. წელსაც 15 იანვარს, ამხანაგებმა და მეგობრებმა თავი მოიყარეს მის საფლავზე და შეამკეს ცოცხალი ყვავილებით.

რის შემდეგ ინა ჟორდანიამ დამსწრენი მიიპატიჟა ოჯახში. ნოეს სამუშაო ოთახში, სუფრის თავს ამშვენებდა ნოეს სურათი.

სუფრა გახსნა ოჯახის წევრმა ლ. ფაღავამ და თამადობა გადაულოცა გრ. ურატაძეს, რომელმაც თავის სიტყვაში მოიგონა ნოეს წარსული ცხოვრებიდან ზოგიერთი ეპიზოდები. ილაპარაკეს აგრეთვე ნ. ცინცაძემ და პ. სარჯველაძემ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ევ. გეგეჭკორის ძეგლის გახსნა.

კვირას 10 ივნისს, სრულ ოთხ საათზე მოხდება საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის—ევგენი გეგეჭკორის ძეგლის გახსნა სოფელ ლევილის სასაფლაოზე.

დასავლეთის სოციალისტებსა
და თავისუფალ სინდიკატებში.

ამა წლის 21 მარტის ინგლისურ ჟურნალ «ტრიბუნ»-ში მოთავსებულია წერილი ხრუშჩოვ-ბულგანინის მიერ დასავლეთის სოციალისტებისადმი გამოწვდილი ხელის შესახებ. ავტორი ამ წერილის მოითხოვს კრემლის მეთაურებისაგან საქმით დაამტკიცონ სტალინის ჩადენილი ბოროტების დაგმობა—გაანთავისუფლონ ციხეებიდან და ლაგერებიდან ვინც მსხვერპლი შეიქნა სტალინის პოლიტიკის, აღადგინონ საქართველოს დამოუკიდებლობა, რომელსაც არასოდეს არ შეუწყვეტია ეჩვენებია ქვეყნისთვის თავისი მტკიცე სურვილი თავისუფლად არსებობის.

თავისუფალი სინდიკატების ინტერნაციონალური ბიურო ადგენს საბჭოთა ქვეყნების ციხეებში და ლაგერებში მყოფ პოლიტიკურ ტუსაღთა სიას, რომ მოითხოვონ მოსკოვისაგან მათი განთავისუფლება. საქ. ს.-დ. მ. პ. პარიზის ორგანიზაციამ მიიღო ზემო მოხსენებული ბიუროსაგან შემდეგი დეპეშა: გთხოვთ საჩქაროთ გამოგზავნოთ დატუსაღებულ, გადასახლებულ და დაკარგულთა სია ქართველი სოციალისტების და სინდიკალისტების. თვითეული მათ პიროვნების ვინაობის და მათი ბედის შესახებ მოკლე ინფორმაცია. ი. ჟ.

რედაქციისაგან. ასეთივე დეპეშა მიიღო ამხ. ნ. ცინცაძემ, რომელმაც კიდევაც გადაუგზავნა რამდენიმე ასეულის სია, შედგენილი საერთო კომისიის მიერ.

პარტიული ცხოვრება.

15 აპრილს მოხდა პარიზის ს.-დ. ორგანიზაციის კრება. კრება გახსნა კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. ჩუბინიძემ. ოქმის წაკითხვის შემდეგ, თავმჯდომარე აცნობს მის მიერ საზ—თელ ბიუროს დავალებით, სოშოში მოგზაურობის შედეგს. აგრეთვე ბორდოში და ლიონში განხრახულ მოგზაურობის შესახებ. ეროვნულ საბჭოს მუშაობის შესახებ მოხსენებას აკეთებენ: გრ. ურატაძე და გ. ერაძე. რის შემდეგ იხსნება ფართე კამათი უცხოეთში ჩვენი მუშაობის გარშემო. ყველანი აღნიშნავენ ეროვნულ საბჭოს დადებით მუშაობას, ისე მის ნაკლს. კამათში მონაწილეობა მიიღეს შემდეგ ამხ—მა: პ. სარჯველაძემ, ლ. ჟღენტმა, ტ. წულაძემ, აკ. კვიტაიშვილმა, პრ. ინწკირველმა, ლ. ფალავამ, მამია ბერიშვილმა, შ. ტატიშვილმა და ვ. ჩუბინიძემ.

კრება დასასრულ ირჩევს დელეგატებს ეროვნულ საბჭოს მომავალ ყრილობაზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი მოხსენება.

ქართულ სათვისტომოს გამგეობამ მოაწყო 7 აპრილს ორი მოხსენება ერთად:

ერეკლე მეორეს მიერ დადებული ტრაქტატი რუსეთთან და 1920 წ. 7 მაიისს ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან.

პირველის შესახებ მოხსენება გააკეთა ბ. რ. გაბაშვილმა. მან გაარჩია ტრაქტატის შინაარსი და გზადაგზა აღნიშნა ის პირობები, რომელშიც ის დაიდვა.

მეორეს შესახებ მოხსენება გააკეთა გრ. ურატაძემ. მან ვრცლად გააცნო საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფებოდა იმ დროს ჩვენი ქვეყანა და როგორ წარმოიშვა იდეა საბჭოთა რუსეთთან სამშვიდობო ხელშეკრულების დადების შესახებ. ორნახევარი საათის განმავლობაში მრავალრიცხოვანი საზოგადოება მძაფრი ყურადღებით და უდიდესი ინტერესით უსმენდა მოხსენებელს. დამსწრეთა წინაშე გადაიშალა მძიმე სურათი ჩვენი ქვეყნის მდგომარეობის და იმ მოგზაურობის, რომელიც მოუხდა მომხსენებელს და რომლის გამო მას დასჭირდა მრავალ დაბრკოლებათა გადალახვა.

საზოგადოებამ მოისმინა მრავალი ფაქტები, რომლებიც დაკავშირებული იყო ხელშეკრულების დადებასთან. უდროობის გამო მოხსენება არ დასრულდა და იგი გადაიდო 28 აპრილისთვის. ამ დღეს მომხსენებელმა მუხლობრივ გაარჩია ხელშეკრულება, გაფანტა ქართულ საზოგადოებაში ზოგიერთი გაუგებრობანი.

მოხსენებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა, რის გამო მადლიერმა დამსწრე საზოგადოებამ მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა მომხსენებელი.

დ. გურამიშვილის დღე.

29 იანვარს ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ მოაწყო ლიტერატურული საღამო დავით გურამიშვილის დაბადებიდან 250 წლის თავის აღსანიშნავათ. გამგეობის თავმჯდომარემ გ. ყიფიანმა წაიკითხა ბ-ნ გ. ნოზაძის ფრიად შინაარსიანი შრომა მაშინდელ ეპოქის პოლიტიკურ ვითარების შესახებ. პ. სარჯველაძემ—წაიკითხა მოხსენება დ. გურიმიშვილის ლიტერატურულ შემოქმედებაზე. დიდათ ასიამოვნეს საზოგადოება რ. სტურუას ასულმა «შიო მღვიმის და ზედაზენის ქედებს»—ლექსის გრძნობიერათ წაკითხვით. ნ. ლაბაძის ასულმა მის მიერ დაწერილ (ფრანგულად) «დ. გურამიშვილს»... თ. პატარიძის ასულმა—«სწავლა მოსწავლეთა» მშვენიერად წაკითხვით. საზოგადოებამ მხურვალე ტაშისცემით დააჯილდოვა სამივენი...

მეორე ნაწილში—ბ. ნ. მამულაშვილის მიერ წაკითხულ იქნა ვაჟა-ფშაველას ლექსი—დ. გურამიშვილზე. ბ. ვ. ლაბაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПТ 0/41

დიდის გრძნობითა და უაღრესი განცდით წაიკითხა პოეტ ს. ჩიქოვანის ორი ლექსი. პოეტ. გ. ყიფიანმა—როგორც ყოველთვის, აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება თავის ლექსით, რომელიც მან უძღვნა დ. გურამიშვილის ხსოვნას.

ბ. ლ. ბელიაშვილმა წაიკითხა მისი ძმის ცნობილი მწერლის აკ. ბელიაშვილის მოთხრობა «უკანასკნელი ნატვრა»—რუსეთში მყოფ დ. გურამიშვილის.

იშვიათია ასეთი მზრუნველობით გამართული ლიტერატურული გამოსვლა, სჩანს კავშირის გამგეობას საქმის დიდის სიყვარულით უმუშავნია.

გ. შარაშიძის მოხსენება.

გასული წლის 28 ოქტომბერს Societes Savants-ის დარბაზში, ახალგაზრდა გოგი შარაშიძემ წაიკითხა მოხსენება: «წმიდა გიორგის კულტი მთაში». მოხსენება მეტად საინტერესო იყო და კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მრავალრიცხოვან მსმენელებზე.

ყოფილ მხედართა კავშირში.

გასული წლის 17 დეკემბერს ყოფილ მხედართა კავშირის კრებაზე ბ. კომან. ალ. კინწურიშვილმა გააცნო დამწრეთ ჩვენი სახელოვან თანამემამულის პოლკოვნიკ ამილახვარის ბიოგრაფია, მისი გმირული ბრძოლები საფრანგეთის განმათავისუფლებელ ფრონტზე. როგორც ვიცით, საფრანგეთის სანსირის სამხედრო სკოლამ უკანასკნელ ოფიცერთა გამოშვებას უწოდა პოლკ. ამილახვარის სახელი, მისი პიროვნების საპატივსაცემოთ და მოსაგონათ. ამ შემთხვევის გამო ფრანგულ ჟურნალ-გაზეთებმა მხურვალე წერილები უძღვნეს პოლ. ამილახვარის პიროვნებას.

——

19 თებერვალს შესდგა ყოფ. მხედ. კავშირის საზოგადო კრება. კრების გახსნისას თავმჯდომარის ბ. ალ. კინწურიშვიშვილის წინადადებით დამსწრენი ფეხზე ადგომით პატივს სცემენ თებერვლის თვეში სამშობლოს დაცვისთვის დაღუპულ ქართველთა ხსოვნას.

კრება ისმენს გამგეობის წლიურ მოღვაწეობის ანგარიშს რომლითაც ის რჩება კმაყოფილი და ახალ გამგეობის არჩევნებს სდებს ახლო მომავლისათვის.

——

4 მარტს, ყოფ. მხედ. კავშირის საზოგადო კრებაზე მაიორ აკაკი კვიტაიშვილმა წაიკითხა მოხსენება შემდეგ თემაზე: «რუსეთ-საქართველოს უკანასკნელ ომში დამარცხების მიზეზები». მომხსენებელი უმთავრესათ შეეხო ომის წარმოებას მხედრული თვალსაზრისით. განიხილა ფრონტებზე წარმოებული ოპერაციების დადებითი და უარყოფითი მხარეები და ობიექტიური მიდგომით დააფასა ისინი. შრომა იყო დიდათ საინტერესო და სასურველი იქნებოდა მომხსენებელმა შესძლოს მისი დაბეჭდვა, რათა ის დარჩეს მომავალ თაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ ა დ ლ ო ბ ა.

მე არ შემიძლია, სამწუხაროთ, ცალ-ცალკე ვუპასუხო ყველა მათ—კრებულთ და ცალკე პირებს—ვინც ჩემი მძიმე და ხანგრძლივ ავათმყოფობის განმავლობაში ძვირფასი მორალური გამხნევება და ნივთიერი დახმარება გამიწიეს.

ამიტომ პრესის საშვალებით, აქ, ამ წერილით, ვუცხადებ მათ, ყველას, ჩემს დიდს და გულწრფელ მადლობას. ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემი ჯანმრთელობა კვლავ შემაძლებინებს ჩემი მოვალეობა შევასრულო და ჩემდამი ნდობა შორეულ თუ ახლობელ მეგობრებისა გავამართლო.

ვ. კანდელაკი.

ნ ი უ ი ო ქ რ კ ი.

21 მარტს საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ წერილობით მიმართა ამერიკის საგარეო მინისტრს ბ. დულესს, რომ მოეხდინა მას თავისი გავლენა კრემლის მართველებზე, რათა 9 მარტს თბილისში მომხდარი მანიფესტაციის გამო შური არ იძიონ ქართველ ხალხზე.

ამავე საბჭომ ნიუიორკის ბერძენთა ეკლესიაში გადაიხადა პანაშვიდი თბილისის მანიფესტაციაზე დახოცილთა მოსაგონებლათ.

ნ. ჟორდანიას «რჩეული ნაწერები ემიგრაციაში».

თუ წინეთ კიდევ შესაძლებელი იყო ემიგრაციაში წიგნის გამოცემა, დღეს ეს უდიდეს სიძნელეს წარმოადგენს.

არა ერთი ხელთნაწერი დევს მაგიდის ყუთში, მაგრამ ვინ იცის იხილავს თუ არა ის დღის სინათლეს. საჭიროა საქმისადმი სიყვარული და უანგარობა იმათი, ვისაც აქვს საშვალება ამ მხრივ კარგი საქმე გააკეთონ, შეუწყონ ხელი ბეჭდვითი საქმეს. ამხრივ ჩვენი ამხ. ვ. ჩუბინიძის მიერ გადადგმული ნაბიჯი—მისაბაძი მაგალითია. საკუთარი საშვალებით მან გამოსცა წიგნი, სადაც მოთავსებულია უცხოეთში გამოცემულ ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული ნოე ჟორდანიას ნაწერები. გაფანტულ ნაწერების ერთად თავის მოყრით, მკითხველს საშუალება ეძლევა ადვილად მონახოს ნ. ჟორდანიას აზრი ამა თუ იმ საკითხზე, რაც ასე საჭიროა ახლაც და იქნება შემდეგშიაც.

ჭეშმარიტათ მადლობის ღირსია ამხ. ვ. ჩუბინიძე ასეთი კარგი საქმის გაკეთებისთვის.

საჭიროდ განცხადება.

ზოგიერთ გარემოებათა გამო საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ «მებრძოლი საქართველო»-ში მოთავსებული წერილები ა. ვანიძის ხელის მოწერით, მეკუთვნის მე.

გრ. ურატაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ჩვენი დროშა»-ს ფონდი.

რედაქციამ მიიღო სოშოდან ამხ. გრ. ქვარცხავას მიერ შეგროვილი: დ. კვერღელიძე, დაობლებული და გრ. ქვარცხავა—თითომ 1000 ფრ.; გ. დუიშოღლი, შ. ქურციკიძე და კ. რიქამაძე—თითომ 500 ფრ.; ვ. ქვარცხავა და ეორეიკა ქვარცხავა—თითომ 350 ფრ.; ეაკი ქვარქცხავა, ვ. დ., ალ. შათირიშვილი და მამედა ჯინჭარაძე—თითომ 300 ფრ.; გ. სალუქვაძე, თ. ზედგინიძე, ვალ. სალუქვაძე და ვარდო სალუქვაძე—თითომ 200 ფრ. სულ 7200 ფრ.

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სოშოს დელეგატებისაგან—5.000 ფრანკი.

პარიზიდან—ამხ. ერ. მაჭავარიანისაგან შეგროვილი: გ. სურგულაძე, გრ. ბარამიძე, ლ. ბელიაშვილი—თითომ ათასი ფრ.; ჯ. ხაბულიანი, ვ. ჩუბინიძე, ერ. მაჭავარიანი, პ. სარჯველაძე, გ. ეორდანია, ვიქ. კირტავა, ტ. წულაძე, აკ. კვიტაიშვილი, ნ. მელქაძე, ა. ტატიშვილი—თითომ 500 ფრ. სულ 8000 ფრ.

სპარსეთის ქართველებიდან გრ. მოდებაძის ხელით ათი დოლარი, გრ. ბარამიძისაგან მეორეჯერ 2000 ფრ., ნ. ორაგველიძისაგან 500 ფრ.

ახალი წიგნი.

დაიბეჭდა და გამოვიდა

ნოე ჟორდანიას

«რჩეული ნაწერები ემიგრაციაში».

ამ წიგნის შეძენა შეიძლება ამ მისამართით:

V. Tchoubinidzé

241, rue Croix Nivert. Paris XV.

ახალი წიგნი.

დაიბეჭდა და გამოვიდა ლ. ბელიაშვილის წიგნი:

რუსთაველის და დანტეს იდუმალი.

წიგნის შეძენა შეიძლება ამ მისამართით:

M. Beliachvili

98, Avenue de Villiers. Paris (17)

ფული და დასაბეჭდი მასალები უნდა გამოგზავნოს შემდეგი მისამართით:

P. Sardjveladzé.

35, rue de l'Aude 35. Paris (14)

Imprimerie Coopérative Arpajonaise, Arpajon.